უკუამო დროებს მხარშემდგარი მწერალი, ამჟამად ოკუპირებული ივერთა ქობულეთის ქართული ქალაქის ტექნიკური შვილია. იქ, „მალაი კაცის“ ვახტანგ კასრაძის N1 ქართულ საშუალო სკოლაში ეზიარა პოეზიის ანდამატივით მიმზიდველ სურნელს. პირველი ლექსიც იქ დაუწერია და სათაყვანებელ აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს ოლია კასრაძეს მიუძღვნა.

მოგვიანებით, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილ სკოლის ზეიმზე, სახელოვანი შემოქმედით ომხიანად იტყვის: „მე ვამაყობ, რომ ეს სკოლა დაემათავრე. ვამაყობ ჩვენი სკოლელი მერამ ელითობილით, გიორგი მესთაუთით, აკადემიკოსებით ქრისტეფორე არეშით, შალვა ხიდაშელით, ტარიელ სართანითა და სხვებით.“

მის თვალწინ მზანებასავით გამოკრთის მშობლიური ქალაქის წინაპართა საცხოვრისი, – „ძველი სახლი და კილობანი, ზომბორა თოვლი, გაზაფხული ჩემი წირვებით...“ – სადაც ლეგენდარული მოცეკვავის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ვლადიმერ ხეთაბურისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი პედაგოგის, საქართველოს დამსახურებული ექიმის ქრისტინე თედიაშვილის ოჯახს „ია და მზია – ცელქი დები, ცელქი ტყუპები“ მოელოდნენ, სადაც უკან დარჩა მავშვობის უდარდელი წლები და ოსი თუ ქართველი სიყრმის მეგობრები:

**„სად, სად გაფრინდა ორი გოგო თავგამეტებით ჩემი კისკისა სალიმა და მზისფერი ზარა, ჩემი მავშვობის დობილები, თეთრი პეპლები. ცხინვალის ქუჩებს მოჰკლებია მალაი კაცის, თბილად წერიალემს მისი სკოლის ვეგა ზარი.“**

გაუხედნავი რამით აწყვეტილა წლები... პოეტის ხსოვნაში კი არ გამქრალა, კვლავაც თარეშობს მავშვობა:

**„ვეღარ ჩათავდა ჩემი მავშვობა, ვეღარ მოვშორდი ვერად იმედებს, მუშის სამელნე უკვე ამოშრა, გასაუქმებლად ვერ გაემიეტე.“**

ღირსასხოვარია ქართული სიტყვის უზადო ოსტატის გზა. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ნიჭიერ მავშვთა ათწლეულის (ფორტეპიანო) ნარმატებით დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში (თეატრმოდინობა). შემდეგ, მაქსიმ გორკის სახელობის მოსკოვის ლიტ. ინსტიტუტში დამთავრა ასპირანტურა და დაიცვა ხარისხი, როგორც თეატრმოდინეტი.

აღრეული ასაიდანვე წერდა ლექსებს, პიესებს, მუსიკალურ

ნაწარმოებს. შემფასებელთა შორის იყვნენ: გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, რევაზ ლალიძე, იოსებ გრიშაშვილი; მოგვიანებით – ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ თაქთაქიანი, გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიგა ლორთქიფანიძე, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ წიგნიანი, ვია ყანჩელი...

ვარდის სურნელივით გაჭერებულ პოეტის მესხიერებაში არდაიწყების შარავანდედი მოსავს თეთრბამბეზიან კუდრატა გოგონას შეხვედრას ქართული პოეზიის მეფესთან: ზაფხული (1953 წ.) ზეობდა თბილისში, როდესაც დედამ, ტყუპისკალ ისთან ერთად, წყნეთის ავარაკზე სტუმრად წაიყვანა ახლომეფე – ზაციკაძეებთან. „მანქანიდან რომ გადმოვედით, მცირე მანძილი ფეხით გავიარეთ და უცემ: „გალაკტიონი, გალაკტიონი!...“ გავისმა უფროსების აღფრთოვანებული ხმა. ყველანი მოკრძალებითა და რაღაცნაირი, განსაკუთრებული გამომეტყველებით შესცქეროდნენ კაცს, რომელიც სახელოვან და შარვლის ტოტეპაკაპინებულნი, ნიჩბით გულმოდგინედ ასწორებდა წყალში აბედილ ქვიშას. შედიოდნენ წლის ვიყავი. გამუდმებით ლექსებს ვარაკრავებდი და გალაკტიონის სახელიც გავიხსენებდი. ძალიან მომიხდა, რაღაცით გამომეხატა ჩემი სიხარული. ავდექი და პირდაპირ აბედილ ქვიშაში ჩავხტი. „აჰ, აჰ! – იყვირეს უფროსებმა – ზოღიშს გიხდით, ასეთი უცნაური მავშვია, ლექსებს წერს და ძალიან მეტიჩარა...“ თავიდან ბოლომდე ამოსვრილი ვიდექი. – ვინ ხარ შენ? – მკითხა წვერიანმა კაცმა და ჩემამდე დაიხარა. მე მას შევეცქერდი და დედას ვუძლიანდებოდი, – აქ უნდა ვიდგე, ძია გალაკტიონთან ერთად მინდა ტლაპაში დგომა-მითქი! – მერე მათვებოც მოვიგლიჯე თმიდან და მის ფეხებთან, ტალახში ჩავყარე (ასოციაცია – „როგორც წაწვიმარ სილაში ვარდი...“). ყველა გაეცინა, თუმცა აშკარად დაბნეულები იყვნენ. მან კი, თითქოს სხვაგან იმხრებოდა, ისე თქვა: „რაც ამ მავშვმა გააკეთა, ეს ლექსია...“

საგულისხმოა, რომ სიკო დოლოძის მიერ შერჩეული 12 წლის მზარდი დაამტკიცეს ფატიმას როლზე („ფატიმა“), მაგრამ ასეთი ტრავიკული როლის შესრულებაზე მამის წინააღმდეგობის გამო, დემბეტი არ შედგა. ასევე არ მოხერხდა, როდესაც დაამტკიცეს მერის როლზე ფილმში „მე, მზია, ილიკო და ილიკონი“. მოკლედ, მ. ხეთაბურის კინომსახიობის კარიერის თვალსაზრისით არ გაუმართლა.

ლიახვისპირელი კალმოსის მწერლური ხელდასხმა 1968 წელს შედგა, როდესაც ურნალ „ცისკარში“ გაიმარყინეს პირველი ლექსები. მერე, ნიაღვრით მოაწყდა ფართო მკითხველს მისი ლექსები, მოთხრობები, პიესები, ლიტერატურული კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები, თეატრალური რეცენზიები. ქართულ სიტყვასთან დაუღალავ ჭიდილში უამთა რბოლა გრძელდებოდა... ის განვლილი წლები მართლაც მისი სიმდიდრეა – პოეტური კრებულები: „საახალწლო ნაძვის ხე თებერვალში“, „ცისკარცელა ჩამომიგზავნეთ“, „ეთერშია გულახდილობა“, „სიყვარულის პირამიდები“, „კოცნის ანაგეტები“, „მეცემობით სავსე რეველი“, „სიცოცხლე, როგორც დანაშაული“, „გამდინარე წყალი“, „პიესები: „თეთრი პალატა“, „გამოთხოვება გაზაფხულთან“, „მადლობას გიხდის, მწუხარებავ“, „ხელშეუხებელი“, „დატყვევებული ქარი“, „ხეტიალა: „საყმაწვილო კრებულები: „ცხრასართულიანი სახლის შლაპრები“, „დედა, მამა, კომი და...“, „ხეტიალას ფესვები“, „ხარხარა მეფე“, „რა ჩემი საქმეა: „მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების კრებული „სიცილის ოთახი...“

სამაყთა, რომ სამავშვო პიესა „ხეტიალა“ ორ საერთაშორისო ფესტივალზე (ტაშკენტი, 1979 წ. პოლონეთი, 1981 წ.) აიღო პირველი პრიზი.

მზია ხეთაბური – დღეს შორს გატყორცნილი სახელია. მისი კალმის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ, აზერბა-

იჯანულ, სომხურ, უნგრულ, ლიტვურ, ლატვიურ, ესტონურ, პოლონურ, ბულგარულ, ჩეხურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, იაპონურ ენებზე. პოლონეთში ხელხვაიანი შემოქმედის შესახებ წიგნიც კი გამოიცა, რომლის ავტორია ცნობილი მწერალი ალექსანდრე ნავრცკი.

რუსეთის იმპერიის მიერ პროვოცირებული ქართველებისა და ოსების ეთნიკური დაპირისპირების გამო, მამით ოსი და დედით ქართველი ინტელიგენტი მწარედ დასძენს: „ვინ გავიმეტა ზღუდრის საყდარო, ან შენ, კალათაო, ნაცარგორისა!...“ და გზას-ხსნისას სიმართლის გამარჯვებაში ხელდას. იგი არასდროს ღალატობს „საქართველოო ლამაზობს“ და ამით ოსების თვითმყოფადობის ერთგულ დარაჯადაც გვევლინება:

**„ისევ მე, ჩემო ოსებო, თავში ქვა უნდა ვიხალო, დაე, ულმობლად მოვისრა, ოღონდ სიმართლემ იხაროს!“**

**ისევ თქვენ ნუ გამიწყებით, რომ ვუერთგულო სინდისა, თორემ, საცაა, განწყდება კრიალოსანი სიმდისა!“**

ცხინვალელთათვის (და არა მარტო) სულის მესაზღვრე, სხვადასხვა დროს იღწოდა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის, გორის, ცხინვალის, ქუთაისის თეატრებში, გახლდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი, გამოცემლობა „მერანის“ დრამატურგიის განყოფილების გამგე.

მზია ხეთაბური „ღირსების ორდენის“ კავალერი, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, შოო მღვიმელის, გალაკტიონ ტაბიძის, მაცყალა მრეველიშვილის, სალომეა წერისის (სომეხი), ადამ მიცკევიჩის (პოლონეთი), ვლადიმერ მაიაკოვიჩის (რუსეთი) სახელობის პრემიების ლაურეატია. ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებისთვის განუელი ღვაწლისთვის და მწერლობაში შეტანილი წვლილისთვის, 2011 წლის შობის ღამეს, სამომავლო წინვისას, ქართული კულტურის დესპანე მზია ხეთაბური სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით“ დააჯილდოვა.

ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნის ამ ამობოქრებულ უამს, კალამმემართული პოეტის მთავარი სახეხარი ქართველებისგან გამოხშირული, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონია:

**„სამაჩაბლოში სხვა საქართველო, სხვა სურნელემა და სხვა ხიბლია, მაჩაბლის ენა, გამორჩეული, ქართული ჯიშის ხსნა-სამხილია!“**

**მზე სხივებს გულში ვერ გაიხუნებს! ცხინვალის ჩვენი საგანგურია! თუ სამაჩაბლოს ვერ დავებრუნებთ, მაშ, საქართველო დაკარგულია!“**

მშვიდობიანი ხვალის იმედი აპურებს და ასაზრდოებს ქართული სიტყვის მეჩუქრთმეს, იგი ხომ მომავლის ადამიანია. **მრავალუამიერ... „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანვი ვიკურთხოს ზენამ, ღვთისგან მომადლებული ნიჭით დაჯილდოვებული და მაჩაბლის წმინდა ქართული მორალისხეველი, ჩვენო სასიყაღულო იუბილარო!**

**როზმარტ ოლიკაძე, საქართველოს ღმრთობის მინისტრის პირნაღისტი.**



# „ერისიონს“ ახალი შენობა გადაეცა



– თქვენ იმით, რამხალა ამ ანსამბლის წვლილი ჩვენი კულტურის განვითარებაში, ჩვენი თმითმყოფადობის შენარჩუნებაში და ახალი სახსლზე, ახალი შენობა მისცემს მათ საშუალებას, რომ ძალიან დიდ ნარმატავებს მიადნონ მომავალში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ანსამბლ „ერისიონისთვის“ ახალი შენობის გადაცემის საკითხზე საუბრისას. საქართველოს მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ

ანსამბლ „ერისიონს“, არსებობის ისტორიაში პირველად, საკუთარი შენობა აქვს. 4080 კვ.მ. თანამედროვე სტანდარტების ნაგებობა მოიცავს ორ სარეპეტიციო დარბაზს, აქედან ერთ-ერთი საკონცერტო დანიშნულებისაა არის, რომელშიც 100-მდე მაყურებელი ეტევა, ვინისონის სკოლა-სტუდიის 900-მდე მავშვისთვის სარეპეტიციო 3 დარბაზს, მსახიობების საგრიმიროებს, ხმის ჩამწერ სტუდიას, ანსამბლის ადმინისტრაციის საოფისე სივრცეებს, სასცენო სამოსის შესანახ სივრცეებს, შემდგომი შესაძლებლობის პირებისათვის მოწყობილია პანდუსები და ლიფტი და სხვა.



85

# ტახტთან ნილნაყარი

საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალბატონის რეგალია ნამდვილად ცოტაა **ნონა გაფინდიაშვილის** ტიტული.

მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიადების თერთმეტგზის გვირგვინოსნობაც ვერ მოიყვას სრულად ბრძენთა თამაშის ცოცხალი ლეგენდის ტალანტის მასშტაბს. ამ ფონზე ხომ ვაყუთა შორის პირველი მანდილოსანი დიდოსტატობა მოსატანიც არაა.

დაახ, ჩვენ ვსაუბრობთ ჯემმარტ ერისქალზე, თამარ მეფის ღირსეულ მემკვიდრეზე და თავდაც თანამედროვე სამშობლოსა და ჯაღრავის მონარქზე, გუშინ რომ 85 წელი შეუსრულდა და, როგორც ჯაღრავ ივერიის ჭირისუფალი, დარწმუნებულნი ვართ, მწყემსი კეთილის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **ილია მეორის** გარდაცვალებიდან სულ რაღაც თვე-ნახევარში თავად ბრძანებდა უარს საიუბილეო თარიღის საკადრისად აღნიშვნაზე.

მართლაც, ეროვნული ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის პატრიარქს უნდა გავუცოთ, რომ მსოფლიო ძნელმდობის უამს არ ეზიზღება. სამაგიეროდ, ჩვენ მოგვიძღვნა მარადიული დღესასწაულით ტკპობის ბედნიერება და პატივი. **საუკუნე მოგვეცოთ, 64-უკრიანი სამყაროს დედოფალი!**



სანაპრეზო პაუზის შამს საფხეზურთო მადას ქართვ-ლი ლეგიონერები გვიკაყოფილან. და მერე როგორ – უპრევიზიო და ავროტურნირების დღეები ისე არ ჩაივლის, სააპაყო არ მოგვიგაგონ.

ზეგ მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალია: ბაიერნი – ჰსუ (პირველი მატჩი 4:5), მოახლოებულნი ბრძოლის წინ კი მხარეებმა გენერალური რეპეტიციები საშინაო ფრონტზე გამართეს.

**მუნდესლიგა.** ბაიერნი – ჰაიდელბერგი 3:3. ალიანს არენაზე ისტორიული ფაქტი მოხდა **მულე ზიგინგის** დუბლის სახით. სანყენი მხოლოდ ისაა, სტუმრებმა უმნიშვნელოვანესი ქულები ბოლო ნახევარში დაკარგეს და კიდევ უფრო რეალური გახადეს მე-2 ეშელონში დაქვეითების საფრთხე. **ვენსან კომპანიმ** გუნდის ლიდერები თამაშში მე-2 ტაიმიდან ჩააბა.

**ლიგა 1.** ჰსუ – ლორიენი 2:2. **ლუის ენრიკემ** კოლეგისგან განსხვავებით ძირითადი ბირთვი სათადარიგოთა სკაშზე საფინალი სასტვენამდე დატოვა, მათ შორის **ხეიჩა კვარაცხელია.**

**პრემიერა დივიზიონი.** ვილარიალი – ლევანტე 5:1. შამათი საღამო ვსპანური დუბლის ავტორმა **გიორგი მიქუტაძემ** დაგვიმშენა და იგი 11 გოლით კლუბის მომბარდირი გახდა.

დავქენთ, რომ სლოვაკეთის ჩემპიონი ზედიზედ მე-5 გახდა **გურამ კაშია**, თუმცა არის სანერვიულო ფაქტიც: ტრავმირებული **ზურაბი დავითაშვილის** არყოფნაში ზედიზედ მე-3 მხევედრის ნახევარში სენტ ეტიენმა პრობლემატური გაიხდა ელიტურ დივიზიონში აღზევება.

**„შავი ლომისა“ და კრთოვით დიდი 10 XV-ის პირველ სასაღამო-თაგანში, გორის საზაგო სტადიონზე მისულმა გაყურებელმა ჯაგო 8 ლელო იხილა, საიდანაც 5 „შავი ლომი“ გაიტანა და 31:19 გაიმარჯვა.**

# რანგის შესაბამისად

პირველ ტაიმი გუნდებმა ორ-ორი ლელო გაცვალეს, თუმცა დიდი 10-ის ნაკრებმა ორივე გარდასახვა გამოიყენა, „შავ ლომს“ ერთი გაუყუდა და შესვენებაზე 2-ქულიანი უპირატესობით გავიდა – 14:12. მეორე ტაიმში „შავმა ლომმა“ მეტოქის შეცდომებით ისარგებლა, ბურთზე კონტროლი დაამყარა და სამი ლელო გაიტანა, რითაც გამარჯვება დაიწვია.

მთლიანობაში, შეხვედრაში მონაწილეობა 56-მა მოთამაშემ მიიღო. რადგან თამაში სასელექციო ხასიათის იყო და მწვრთნელებს საქმეში რაც შეიძლება მეტი მოთამაშის ხილვის სურვილი ჰქონდათ, ორივე გუნდის განაცხადში 28-28 მოთამაშე იყო. „შავ ლომს“ დიდი 10-ის კლუბებიდან რამდენიმე მორაგბე ჰყავდა დამატებული, რომელთაც ქართული ფრენჩაიზის კვართი პირველად მოიარგეს. თავის მხრივ, დიდი 10-ის ნაკრებში რამდენიმე მორაგბეს კარგი თამაში ჰქონდა, რამაც შესაძლოა „შავი ლომის“ მწვრთნელები დააინტერესოს.

შეხვედრა „შავი ლომის“ შეტევებით დაიწყო. მათ მეტოქეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს და დავით ამდუმელიშვილმა რაჭიდან მიძალგის შემდეგ ლელო გაიტანა და ლელო გაიტანა. გარდასახვა არაბუსტი იყო და ტაიმი დიდი 10-ის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა – 14:12.

ნა, თუმცა საქმეში ვიდეო-რეფერი ჩაერთო, რომელმაც მანამდე ბლოკირება დააფიქსირა და ეს ლელო სამართლიანად გაუქმდა. „შავი ლომი“ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მე-15 ნუთზე მძლავრი მოლი ააგორა და ის გიორგი სინაურიძის ლელოთი დასრულდა, ლუკა ცირეკიძემ კი გარდასახა.

დიდი 10-ის ნაკრებმა ტაიმის შუაში უპასუხა. დავით ხუროშვილმა მე-

ტოქის ნახევარზე, 10-მეტრიან წყვეტილთან ჯარიმა სწრაფად გაიტანა. „შავი ლომის“ უყურადღებობით ისარგებლა, ხაზის გაჭრის შემდეგ ორ მცველს ვვერდი აუარა და 40-მეტრიანი ლამაზი რეიდი, ინდივიდუალური ლელოთი დაასრულა. ვაჟა მიქაძემ გარდასახვით წონასწორობა აღადგინა.

ნელ-ნელა დიდი 10-ის ნაკრებმა მოახერხა ინიციატივის დაუფლება,

მოლის შემდეგ ბურთი ხაზზე გაიტანა, მექა ყორიულმა ინტერვალში მურთაზ ცხადაძე შეიყვანა და მანაც საკუთარი გუნდის მეორე ლელო გაიტანა. მიქაძე გარდასახვიდან კვლავ ბუსტი იყო. ტაიმის ბოლოს „შავმა ლომმა“ შეძლო ჩამორჩენის შემცირება. 5-მეტრიანში ჯარიმის გათამაშების შემდეგ, ბურთი გუნდის კაპიტან აკა ტაბუცაძემ გავიდა, რომელმაც მცირე სივრცით ისარგებ-



ლა და ლელო გაიტანა. გარდასახვა არაბუსტი იყო და ტაიმი დიდი 10-ის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა – 14:12.

მეორე ტაიმი გუნდებმა ცვლილებებით დაიწყეს და ამან თამაშის ხარისხს თავისი კვალი დაატყო, განსაკუთრებით დიდი 10-ის ნაკრებს, რომელიც ხშირად ჯარიმდებოდა და ტექნიკური ნუნიც მრავლად ჰქონდა. „შავი ლომი“ სრულად დაეფულა სათამაშო უპირატესობას და 50-ე ნუთზე დაწინაურდა. ჯარიმის გათამაშებისა და სინაურიძის მიძალგის შემდეგ, „შავი ლომის“ ისტორიაში პირველმა ლეგიონერმა მერლს პიტერსმა ცირეკიძე ცარიელ ზონაში გაიყვანა და მანაც ლელო გაიტანა. გარდასახვა მიზანს ასცდა.

56-ე ნუთზე მოლი სინაურიძის მორიგი ლელოთი დასრულდა, გარდასახვა კი პიტერსმა შესარულა და გახდა პირველი ლეგიონერი, რომელმაც „შავ ლომს“ ქულები შესძინა. შემდეგ ეპიზოდში პიტერსის ბრტყელი გადაცემის შემდეგ ხაზი უკვე დემე თაფლაძემ გაჭრა და საკუთარი გუნდის მე-1 ლელო გაიტანა, რომელსაც კვლავ ბუსტი გარდასახვა მოჰყვა.

**მატჩის დასკვნით 10 ნუთში დიდი 10-ის ნაკრებმა შეძლო „შავი ლომის“ 22-ში შესვლა, ბადრი ალხაზაშვილმა მოლის შემდეგ ლელო გაიტანა და ამ გუნდებს შორის პირველი დაპირისპირების საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 31:19.**



## დიდოსტატის გარჯვენა

**ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა გეგაუას ძირუბიული ჩარევა სჭირდება, რის გამოც მისი ტატიანი დაზარალების ფაქტი თარიღი პარაპრობით უცნობია.**

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ინფორმაციით, მექაურს მხრის ოპერაციის საფრანგეთში, ბურჟის კლინიკაში იქაური წამყვანი სპეციალისტები ჩაუტარებენ. ძიუდოსტი საფრანგეთში თანხმლებ ექიმთან ერთად გუშინ გაემგზავრა, ოპერაცია კი ხვალაა დაგეგმილი.

მარჯვენა მხრის მძიმე ტრავმა ლაშაშ თბილისის ამასნიანდელ ვეროპულ ფორუმზე მიიღო, რამაც ქირურგიული ჩარევა აუცილებელი გახდა.


**აღსანიშნავია, რომ სხენებული ტურნირი მან იტალიელ, მოლოდინელ და მელარუს მეტოქეებთან გამარჯვებებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ 2 ბრძოლა დათმო და უმედლოდ დარჩა.**

# ანონილი სიჭყვა

**დიდი მუზარალის ტურნირების 4-გზის ჩემპიონმა**, მსოფლიოს იტალიელმა პირველმა ჩოგანმა **იანნი სინერმა** მადრიდის მასტერსის მეოთხედფინალში რეიტინგის 42-ე ნომერთან, 19 წლის ესპანელ **რაფაელ ხოდარტან** გამარჯვებაზე (6:2, 7:6) ისაუბრა და მაღალი შეფასება მისცა მეტოქის თამაშს.

„...ის, რასაც იგი აკეთებს, დაუჯერებელია. მას მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ, თუმცა ამავდროულად ჯაბუკე მეტისმეტ ზენოლას ნუ მოახდენთ. ცნობილია, რომ ზოგჯერ ეს ყველაფერი გონებაში ილექება და მისგან გათავისუფლება ძალზე რთულია.“

იგი ძალიან კარგი მიჭია, მის ზურგს უკან კი მშვენიერი ოჯახი დგას. მას საკუთარი პატარა, მუდრო სამყარო აქვს, რაც შესანიშ-



ნავია. ვფიქრობ, მომავალში ხოდარი საოცარ შედეგებს მიაღწევს. დაახ, მას ყველაფერი აქვს, რასაც წარმატებები მოითხოვს“, – დასძინა სინერმა.



# სკპდასკპა

## მთაწმინდის პარკში ტრადიციული ფესტივალებისა და ღონისძიებების სეზონი გაიხსნა

მთაწმინდის პარკში ტრადიციული ფესტივალებისა და ღონისძიებების სეზონი დაიწყო. დღის განმავლობაში პარკში არაერთი განსართობი პროგრამა დაგეგმილია.

## „თბილისური სახსოვარი“

თბილისური სახსოვარი საქართველოს კონსერვაციის და დამამუშავებელი საწარმოების ასოციაციის (TASA) ინიციატივით დაიწყო.



- კონკურსის მიმართულებები:
- მცირე ფორმის სკულპტურები;
- რელიეფური ნამუშევრები;
- სასაჩუქრე მედალიონები;
- დიზაინ-პროექტის ესკიზები;

ლიკას და ქართულ ისტორიულ არქიტექტურულ-პლასტიკურ მოტივებს. განაცხადების მიღება 25 მაისამდე.

## არასრულწლოვანი ავტომობილის გატაცების 30-მდე ფაქტზე ახილაბული!

მინისტრმა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის არასრულწლოვანების საქმეთა მთავარი სამსახურის მენეჯერმა თანამშრომლებმა, ავტომობილის მართვის გარეშე 2012 წელს დაგდავებული არასრულწლოვანი დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მიმდინარეობს, რაც 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## 1 კილოგრამზე მეტი ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტებში – ყაზვანი და სადასლო-საავტომობილო დარღვევების აღმოსაფხვრელი სამსახურის საინფორმაციო ნაკეთობების შემოტანის 3 ფაქტი აღიკვეთა.


## საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშნის შესახებ

წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმუჭი პოლიტიკა“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აცხადებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განაცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვეფხვი ხარეზას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ვეფხვი ხარეზა (პ/ნ 39001006499), სენაკის რაიონი, სოფელი ძველი სენაკი, მე-4 ქუჩის I ჩიხი N2
  2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: სენაკის რაიონი, სოფელი ძველი სენაკი, მე-4 ქუჩის I ჩიხი N2 მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობასთან ერთად. მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 6909 კვ.მ. შენობა-ნაგებობები: N01 საერთო ფართობი: 164.07 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 44.04.26.775)
  3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
  4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 54254.24 ლარი.
  5. აუქციონის დაწყების თარიღი: 2026 წლის 4 მაისი, 12:00 საათი.
  6. აუქციონის დასრულების თარიღი: 2026 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.
  7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) (განაცხადის N71271HZP126718226; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1267182)


## სანთელი

### ვაგნერ კეკელიას არღვიწყობა!



უკვე 40 დღე მილია, რაც ნავიდა ჩვენთან უსაყვარლესი ბიძაშვილი, ჩემი სანათესაოს, ჩემი თაობის, საქართველოს საინჟინრო ინტელექტუალური ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი ვაგნერ კეკელია. ქ. ფოთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი იყო. ვაგნერი უნიჭიერესი ელექტროინჟინერი გახლდათ, პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი. თავის შესანიშნავ მეუღლესთან, ლუარასთან ერთად უნაგარო, დახმარებას უწევდა თავის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს.

### 76 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი ნუბზარ ყურაშვილი



წვენი თეატრისთვის უძიძგის დღეა. ახმეტელის თეატრი დრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, ჩვენი თეატრის ლეგენდა ნუბზარ ყურაშვილი. ბატონი ნუბზარის შემოქმედებით გზა ქართული თეატრალური ხელოვნების გამორჩეული მატარებელი, როგორც ახმეტელის თეატრში, ასევე: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მთავარ მსახიობთა თეატრში, სოხუმის მთავარ მსახიობთა სახელმწიფო თეატრში (თეატრ ტალღაში) მისი მრავალმხრივი ნიჭი თანამართი სიმდიდრით ვლინდებოდა როგორც სცენაზე, ისე კინოეკრანზე. ბატონმა ნუბზარმა შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი კინოპერსონაჟი, რომლებმაც მას მსახიობის საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოუტანა. ახმეტელის თეატრის დაარსების პირველი დღიდან ის იყო ჩვენი დასის განუყოფელი ნაწილი, ერთგული მეგობარი და პროფესიონალიზმის მაგალითი. მისი წასვლა დიდი დანაკლისა მთელი ქართული კულტურისთვის. სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლომეგობრებსა და ქართველ მსახიობებს. ნათქვამია ახმეტელის თეატრის განცხადებამ.

8. მოვალე: ვეფხვი ხარეზა (პ/ნ 39001006499), სენაკის რაიონი, სოფელი ძველი სენაკი, მე-4 ქუჩის I ჩიხი N2.
9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ჭმუჭი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, მარტავას ქ. N40, სართული 11.
10. აუქციონის პირობები:
- 10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
  - 10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
  - 10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის შენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“
  - 10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმუჭი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284) ანგარიშზე (ს/ს „ბიზის ბანკი“ ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინამდებარე შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
  - 10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.
  - 10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დაკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავლად საჭირო თანხას.
  - 10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 22 მაისის 10:00 საათამდე.

გულოცავთ!

მეგობრები თამარ გაფრინდაშვილი, სოფიკო გურგენიძე, თონა გურგენიძე, ქრისტე ჩაფიძე, მარი მეფარიშვილი დაბადების დღეს ულოცავენ

წინსვლა და წარმატება ყოფილიყოს შენი გზაგვეყვებოდეს.



საქართველო სორბლის უძველესი კერაა!

ერთ-ერთ მუდმივ საქართველოს ტერიტორიაზე პურის სორბლის წარმოების უძველესი კერის დადასტურებად დადასტურებული უძველესი კერაა.

ქართველი პურის სორბლის (Triticum aestivum) წარმოების დამოუკიდებელი და დღესათვის დოკუმენტურად დადასტურებული უძველესი კერაა.



„საუკეთესო მსახიობის“ ჯილდო ჯანო იზორიას

მაკაოდონიანი, ქალაქ გიმოლაში გაბარებულ მონოლოგის 27-ე ფესტივალზე, ფოთის ვალერიან გვიანას სახელობის სახელმწიფო თეატრი, თავისი საწარმო-ტარო სპექტაკლით – „ყვარყვარა“ წარდგა.



აი, რას წერს ბრიტოლას პრესა: „უიურობ ადინიზა, რომ ეს იყო ბრწყინვალე შესრულება, რომელიც ხასიათდება ძლიერი ტემპერამენტით, ენერჯითა და შინაგანი დამბულობით, რომელიც თავიდან ბოლომდე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას.“

სიჭაბუკის მომსახველი „სტუდენტის“ რუსთაველი გაიხსნა

ბახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, თბილისის მერი კახა კალაძე, განათლების მინისტრი, გივი მიქანაძე და რუსთაველის მერი ნინო ლაცაბიძე ესწრებოდნენ.

სტუდენტური ფესტივალი წლის ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის რამდენიმე ათასი სტუდენტი მონაწილეობს.

მნიშვნელოვანია. წელს ერთ-ერთი სიახლეა მართალია, რომელიც 14 ივნისის თბილისში გაიმართება 15 კმ-იან დისტანციაზე სირბილში სტუდენტების გარდა, მონაწილეობას ნებისმიერ მსურველი შეძლებს.



წლის გამარჯვებული უმაღლესი სასწავლებლის წოდებას ის უნივერსიტეტი მოიპოვებს, რომლის სტუდენტებიც ყველაზე მეტ ასპარეზობაში გაიმარჯვებენ. სტუდენტური ფესტივალის პარტნიორია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თბილისის მერია, რუსთაველის მერია და ახალგაზრდობის სააგენტო.



საქართველო რეკლამა
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სვანტა ქობულაძე
(599-36-00-35)
რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძე
(597-22-07-04)
შემოქმედებითი ჯგუფი:
ალექს ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულაძე
(577-77-27-17)
ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.
სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორაშვილი.
ოპერატორი
შორენა გვილია.
გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116
წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge
გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
აშტორთა მოსაზრებას.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია აშტორი.
სააგენტო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ ავებს სომეხულნი
ქვეყნიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგვადილ, ან უხსოვარი
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323

რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
გაზეთის მთავარი
მარკეტინგის
სამსახური:
GE90BG000000538329790

მომავალი
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
6 მაისს